როცა თქვენგან რომელიმე შეხვდება თავის ძმას, დაე, მიესალმოს მას. ხოლო თუ მათ შორის ხე, კედელი ან ქვაა, შემდეგ კვლავ შეხვდება მას, დაე, კიდევ ერთხელ მიესალმოს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როცა თქვენგან რომელიმე შეხვდება თავის ძმას, დაე, მიესალმოს მას. ხოლო თუ მათ შორის ხე, კედელი ან ქვაა, შემდეგ კვლავ შეხვდება მას, დაე, კიდევ ერთხელ მიესალმოს»
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდებს მუსლიმს, მიესალმოს თავის მუსლიმ ძმას ყოველ ჯერზე, როცა შეხვდება მას, თუნდაც ისინი ერთად მიდიოდნენ და მათ შორის ბარიერი ჩადგეს, როგორიცაა ხე, კედელი ან დიდი ქვა. შემდეგ, როცა კვლავ შეხვდება მას, კვლავაც უნდა მიესალმოს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3552

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee